ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction

პრევენციის ევროპული კურიკულუმი (EUPC)

ეფექტიანი პრევენციული საქმიანობისთვის

რა არის პრევენციის ევროპული კურიკულუმი?

პრევენციის ევროპული კურიკულუმი (EUPC) – ესაა მოკლე ტრენინგის კურიკულუმი მეცნიერებაზე დაფუძნებულ პრევენციაში ადგილობრივი, რეგიონული თუ ეროვნული დონის გადაწყვეტილებათა მიმღები, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე და პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისთვის. მისი მიზანია, სტიმული მისცეს ევროპაში ეფექტიანი თანამედროვე პრევენციული მიდგომების გაგებასა და გამოყენებას და დაეხმაროს კარგად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას დაფინანსებისა და განხორციელების პრიორიტეტების არჩევისას ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე.

EUPC-ის შინაარსი ეფუძნება ამჟამად ხელმისაწვდომ საუკეთესო მსოფლიო მტკიცებულებებს, რომლებიც ექსპერტებს ადაპტირებული აქვთ ევროპის რეგიონისთვის. სახელმძღვანელო იმგვარად არის აგებული, რომ მასში შემავალი ცოდნისა და იარაღების გამოყენება უნივერსალურად შეიძლებოდეს პრევენციისთვის სხვა სფეროებშიც (მაგ. კიბერბულინგის, ძალადობისა და სხვა ანტისოციალური ქცევებს, აზარტული თამაშების, მედიის გადაჭარბებულად გამოყენების სფეროში).

ვისთვისაა განკუთვნილი EUPC?

EUPC შედგენილია სპეციალურად ნივთიერების მოხმარების ან ანტისოციალური ქცევის პრევენციის სფეროს გადაწყვეტილებათა მიმღებების, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის.

ეს კურიკულუმი თქვენთვისაა, თუ თქვენ იღებთ სხვადასხვა სახის დაფინანსების გადაწყვეტილებებს პრევენციის სფეროში, ან თუ კოორდინირებას უწევთ პრევენციის სამსახურებს, თუ გასცემთ რეკომენდაციებს თქვენს თემში ან რეგიონში როგორ და სად განაწილდეს პრევენციისთვის გამოყოფილი რესურსები. ასევე, შეიძლება იყოთ პრევენციის მიწოდებაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პრევენციის კოორდინატორი რეგიონულ ადმინისტრაციაში, საგანმანათლებლო

EMCDDA4GE

EUPC

დაწესებულების დირექტორი ან საჯარო მოხელე, ვინც შეიმუშავებს სტრატეგიებს და უკვეთავს პრევენციულ ჩარევებს მუნიციპალიტეტში. შესაძლოა, იყოთ დაინტერესებული მხარე ან თემის კოალიციის წევრი. EUPC განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ ჯგუფებს იმ მნიშვნელოვანი როლის გამო, რომელიც მათ შეუძლიათ ითამაშონ ეფექტიანი პრევენციული სისტემების შემუშავებაზე გავლენის მოხდენაში.

EUPC მისი ამჟამინდელი სახით არ არის გამიზნული პრევენციის სფეროს წინა ხაზის მუშაკებისთვის.

EUPC-ს ტრენინგის გავლის შემდეგ, სპეციალისტები კურსს რეკომენდაციას უწევენ, რადგან:

- *ის დაგეხმარებათ იყოთ თავდაჯერებულები მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციული ჩარევების შერჩევისას.*
- *მოგაწოდებთ ხერხებს სხვადასხვა ტიპის შეფასებათა ფასეულობაზე და მტკიცებულებათა დონეებზე მსჯელობისთვის.*
- *გაგიძლიერებთ აღქმას, რეგულაციური, ეკონომიკური და ფიზიკური გარემო რა ძლიერად და შეუმჩნევლად ახდენს გავლენას ჩვენს ქცევაზე ... და როგორ შეიძლება მათივე გამოყენება უფრო ჯანსაღი ქცევის მხარდასაჭერად და შესანარჩუნებლად.*
- *დაგეხმარებათ განასხვაოთ მასმედიის გამოყენებით წარმოებული პოტენციურად სასარგებლო მიდგომები პოტენციურად საზიანოებისგან.*

ტრენინგის შინაარსი და ფოკუსი

- ეპიდემიოლოგია, ნივთიერების მოხმარება და რატომ არის პრევენცია მნიშვნელოვანი
- პრევენციის ენა: მტკიცებულებიდან პრაქტიკამდე
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები პრევენციაში
- ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საერთაშორისო ხარისხის სტანდარტები და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტები (EDPQS)
- ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული მინიმალური ხარისხის სტანდარტები და საერთაშორისო სტანდარტები (UNODC/WHO)
- პრევენცია სკოლაში, თემში, სამსახურში და ოჯახში
- მონიტორინგი და შეფასება
- მედია
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადვოკატირებას, გარემოზე მიმართულ პრევენციასა და ღამის ცხოვრების სფეროში არსებულ ჩარევებს.

როგორ ტარდება EUPC?

EUPC-ის ტრენინგის ძირითადი ნაწილის ჩასატარებლად საჭიროა ორი დღე (ან ხუთი ნახევარდღე ონლაინ სინქრონულ რეჟიმში) და შეიძლება, გაღრმავდეს პირისპირ შეხვედრების სამი დამატებითი დღით (ან ონლაინ სასწავლო კურსით: https://plato.emcdda.europa.eu).

EUPC-ის სახელმძღვანელო ამჟამად ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე.

თუ გაქვთ შესაბამისი უნარი, გამოცდილება ან მისწრაფება, EUPC-ის ტრენინგების ჩატარების სტრატეგია მონაწილეებს სთავაზობს შესაძლებლობას, თავად გახდნენ ტრენერები.

რა არის ტრენინგის საფასური?

EUPC არაკომერციული წამოწყებაა და ჩვენი ტრენერები მისდევენ მკაცრ სამუშაო კოდექსს კურსის ჩატარების ხარისხისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ტრენინგის მცირე საფასურის ოდენობა დამოკიდებულია ტრენერსა და ტრენინგის ფორმატზე.

ამის გარდა, თქვენ დაგეხარჯებათ საკუთარი დრო – დაახლოებით ორი დღე; და, თუ პირისპირ არჩევთ მუშაობას, შესაძლოა, გზის ხარჯებიც დაგემატოთ.

როგორ ჩავერთოთ EUPC-ის ტრენინგში?

მხოლოდ ლიცენზირებული ეროვნული ტრენერები ატარებენ EUPC-ის ტრენინგებს და გასცემენ ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის მიერ (EMCDDA) აღიარებულ სერტიფიკატს. შეგიძლიათ, მეილი გაუგზავნოთ EUPC-ს ან EMCDDA-ს ვებგვერდზე მოიძიოთ EUPC-ის ტრენერთა და უფროს ტრენერთა სია და უშუალოდ მათ დაუკავშირდეთ.

Website: www.emcdda.europa.eu/best-practice/european-prevention-curriculum_en

Email: eupc@emcdda.europa.eu

გამოცემის შესახებ:

პირველადი ინგლისური გამოცემა: Brochure: European Prevention Curriculum, by *European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction*

© European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, 2022

ქართული პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ქართული თარგმანი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტის დაკვეთით, EMCDDA4GE პროექტის ფარგლებში (პროექტის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი: №40 - 01.02.2022).

მთარგმნელი: ნინო ბარძიმიშვილი

ქართული ადაპტირებული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორები:

მარიამ რაზმაძე, ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი, ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მზია ტაბატაძე, ექიმი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია

დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022